

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი
N15 - ელვა შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. შეიცვალოს ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართი 15 - ელვა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების
დანართი N15 - ელვა

1. ელვა ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ ბანკის საშუალებით.
2. ფულადი გზავნილის გაგზავნა ან/და მიღება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. ფულადი გზავნილის მიღება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში ფულადი გზავნილის მიმღები ბანკში წარადგენს ფულადი გზავნილის უნიკალურ ნომერს და გამგზავნის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებს, სულ მცირე გამგზავნის სახელს და გვარს.
3. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია სერვის-ცენტრის, ინტერნეტ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. ელვას საშუალებით ფულადი გზავნილის მიღება შესაძლებელია სერვისცენტრში, ტელეფონ ბანკის, მობილ ბანკი, ინტერნეტბანკი, თვითმომსახურების ტერმინალის ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. იმ შემთხვევაში თუ ელვა ფულადი გზავნილი გაგზავნა ხორციელდება იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ბანკის კლიენტი, სავალდებულოა რომ ამ პირმა გაიაროს იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია ბანკში დადგენილი სტანდარტული პროცედურის მიხედვით. ამასთან, ტელეფონ ბანკის, თვითმომსახურების ტერმინალის, მობილბანკის, ინტერნეტბანკის საშუალებით ფულადი გზავნილის მიღებისას აუცილებელია ფულადი გზავნილის მიმღები ფლობდეს ბანკის ბარათს.
6. ელვა ფულადი გზავნილის გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ლარში, აშშ დოლარში, ევროში.
7. ელვა ფულადი გზავნილის მიღება დაშვებულია შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე.
8. შესაძლებელია ფულადი გზავნილის დაბრუნება, რაც გულისხმობს გამგზავნისათვის ფულადი გზავნილის თანხის უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში თუ ფულადი გზავნილი ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. ამასთან ფულადი გზავნილის დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებას არ ექვემდებარება გამგზავნის მიერ გადახდილი საკომისიო.
9. გამგზავნი უფლებამოსილია მოახდინოს ფულადი გზავნილის რედაქტირება, რაც გულისხმობს ფულად გზავნილში მითითებული მიმღების სახელის და გვარის ცვლილებას, იმ შემთხვევაში თუ ფულადი გზავნილი ჯერ კიდევ არ არის განაღდებული მიმღების მიერ. ფულადი გზავნილის სხვა ნებისმიერი პარამეტრის ცვლილება საჭიროებს ფულადი გზავნილის დაბრუნებას და ახალი გზავნილის განხორციელებას, რა დროსაც გამგზავნის მიერ გადახდილი საკომისიო არ ბრუნდება.